UDC (უაკ): 338.012

სოფლის მეურნეობის მულტიფუნქციურობის კონცეფცია და საქართველო

ჯაფარიძე გივი, დიდებულიძე ალექსანდრე
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, საქართველო
E-mail: japaridze.givi@yahoo.com; adidebulidze@yahoo.com

აბსტრაქტი. მოხსენებაში განხილულია ქვეყნის სოფლის მეურნეობის მულტიფუნქციური განვითარების არსი, თავისებურებები, ეფექტიანობის კრიტერიუმები, აგრარული პროდუქციის ნეტო-ექსპორტიორად გარდაქმნის პერსპექტივები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მულტიფუნქციურობის როლი საქართველოს და საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში. ხაზგასმულია, რომ 2012 წლამდე ქვეყნის აგრარული პოლიტიკა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კრიტერიუმების მიხედვით უფრო შეესაბამებოდა კერნსის ჯგუფის წევრობას, შემდგომ პერიოდში კი - ევროკავშირის საერთო აგრარულ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს აგროსასურსათო სექტორის მნიშვნელოვან საბიუჯეტო მხარდაჭერას. ქვეყნის სოფლის მეურნეობის ფუნქციები გაანალიზებულია იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად არიან ისინი ტექნიკურად და ეკონომიკურად დაკავშირებულნი სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან.
საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, მულტიფუნქციურობა, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, აგრარული და გარემოსდაცვითი პროგრამები.

სოფლად მდგრადი განვითარებისთვის ადეკვატური პირობების შექმნა სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზანია, რომლის მიღწევაც უზრუნველყოფს ძირითადად საკუთარი პროდუქციით სასურსათო უსაფრთხოებას, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მოქალაქეთა კეთილდღეობას [1].

საქართველოს ლანდშაფტები (მ.შ. აგროლანდშაფტები) და ქვეყნის სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნება წარმოადგენს ეთიკურ-სოციალურ, კულტურულ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მემკვიდრეობას. სასოფლო-სამეურნეო წარმოება განუყოფელია ლანდშაფტების მრავალფეროვნებისგან და მჭიდრო კავშირშია სოფლად ცხოვრებასთან, თანაც ჩვენ საზოგადოებაში უპირატესად ასოცირდება სოფლის მეურნეობის ევროპულ მოდელთან, ასახავს რა კონკურენტუნარიანობის, მდგრადობის, გარემოსდაცვითი კეთილგანწყობის, ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოფლად განვითარებაში წვლილის შეტანის მოთხოვნების ერთობლიობას. საუბარია სასოფლო მოსახლეობაზე, რომელიც, გარდა ტრადიციული ამოცანისა - სურსათის, ცხოველთა საკვებისა და სამრეწველო ნედლეულის მიწოდებისა, ასევე ხელს უწყობს ცხოვრების ტრადიციული წესის შენარჩუნებას, სასოფლო-სამეურნეო, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული და არასასოფლო-სამეურნეო დასაქმებასა და ზოგიერთ შემთხვევაში ასრულებს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ფუნქციასაც. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დასადგენია, თუ რომელი ფუნქციებიაა არსებითი კონკრეტული რეგიონის ან მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიულ განვითარებაზე მსჯელობისას და როგორ უნდა შეფასდეს დარგიდან მიღებული შემოსავალი და დასაქმების პოტენციალი [2]. ამ მსჯელობაში მიზანშეწონილია დავეყრდნოთ მულტიფუნქციურობის კონცეფციას [3], რომელიც გულისხმობს, რომ სოფლის მეურნეობა უნდა განიხილებოდეს მიდგომათა ფართო სპექტრიდან გამომდინარე, რომელიც მოიცავს როგორც ეკონომიკურ, ასევე ეკოლოგიურ, ენერგეტიკულ და ეთიკურ-სოციალურ ასპექტებს (4ე, იხ. ნახ. 1).



ნახ. 1. სოფლის მეურნეობის მულტიფუნქციურობის მოდელი

ამავდროულად, მულტიფუნქციურობის კონცეფცია სოფლის მეურნეობაში არაერთნიშნაა ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო მეწარმეთათვის. საქართველოში დიდია შინამეურნეობების როლი, რომლებსაც არა კომერციული, არამედ მეტწილად მომხმარებლური მიდგომა ახასიათებთ, შესაბამისად, ასეთი მეურნეობებისათვის 4ე ფუნქციების ნაკრებიდან მხოლოდ ნაწილია სამართლიანი. მულტიფუნქციურობის კონცეფციის ძირითად კომპონენტებად შეიძლება ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის ფუნდამენტური კავშირი გარემოსთან და სასოფლო ტერიტორიების გრძელვადიან, სტრატეგიულ განვითარებასთან, აგრეთვე დარგის მდგრადი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების ურთიერთდამოკიდებულება [4].

სოფლის მეურნეობა ასრულებს მთელ რიგ სოციალურად მნიშვნელოვან ფუნქციასაც, რომელთა შესრულება უკავშირდება არა იმდენად დარგის მაღალ მომგებიანობას (მრეწველობის მრავალ დარგში ის გაცილებით მაღალია), არამედ მის მნიშვნელოვან ტერიტორიულ განაწილებას. ამ ქმედებებათა უმეტესობა ეკონომიკური თვალსაზრისით არ ანაზღაურდება, თუმცა მათი დაფინანსება ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ჩარჩოებში სისტემატურად იზრდება, რაც მათი მნიშვნელობით აიხსნება. მაგალითად, ევროკავშირის 2023 წლის ბიუჯეტის თანხიდან, რომელიც ჯამში 186,6 ევროს უდრის, საერთო აგრარული პოლიტიკის (EU CAP) დაფინანსებაზე გამოყოფილია 53.8 მლრდ ევრო, საიდანაც ფერმერთა შემოსავლების მხარდაჭერაზე დაიხარჯება 38.5 მლრდ ევრო, ხოლო სოფლად განვითარებაზე 12.1 მლრდ ევრო, რაც ნაკლებია, ვიდრე იყო 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული და ძირითადად გაპირობებულია უკრაინაში მიმდინარე სამხარი მოქმედებების დასაფინანსებლად 18.1 მლრდ ევროს გამოყოფით [5]. აღსანიშნავია, რომ თუ ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის 1970-იანი წლების ბოლომდე დაფინანსების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა პროდუქციის წარმოების გაზრდა, რისთვისაც ხდებოდა წარმოებული პროდუქციის მოცულობის სტიმულირება, უკვე 1980-იან წლებში დღის წესრიგში დადგა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხოლო 1990-იანი წლების დასაწყისიდან გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანებად გადაიქცნენ.

ევროკავშირის კომისიამ უკვე 1997 წელს შეიტანა მულტიფუნქციურობის ელემენტები ერთობლივი აგრარული პოლიტიკის (CAP) დოკუმენტში Agenda 2000 [6], სადაც ფერმერი აღიქმება არა მხოლოდ აგრარული პროდუქციის მწარმოებელად, არამედ მთელი სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი სისტემის მნიშვნელოვან მონაწილედ და მოთამაშედ. მულტიფუნქციური სოფლის მეურნეობის ცნება პირველად ჩამოყალიბებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პუბლიკაციაში [7] და ასახავს იმ ფაქტს, რომ სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ სურსათის და საკვების წარმოებას, არამედ აგრეთვე ასრულებს სხვადასხვა არასაბაზარო, არასასაქონლო ფუნქციასაც, რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობის ზემოქმედებას გარემოზე, რასაც განეკუთვანება სოფლის ლანდშაფტი, ბიომრავალფეროვნება და წყლის ხარისხი. ხშირად ამ ჩამონათვალში შეაქვთ აგრეთვე სოფლად სოციო–ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა, სურსათის უვნებლობა, ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება, სიღარიბის დაძლევა და პირუტყვის კეთილდღეობა.

ნახ. 2-ზე ასახულია სოფლის მეურნეობის ფუნქციობის დინამიკური ხასიათი. ამავე დროს, მხედველობაში მისაღებია ამ ფუნქციობის ციკლური ხასიათი და დიდი სისტემებისათვის დამახასიათებელი გარკვეული ინერციულობა. მაგრამ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ფუნქციებისთვის დროითი ვარიაციები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. სოფლის მეურნეობის ფუნქციების შინაარსობრივი მახასიათებლები განირჩევიან დიდი მრავალფეროვნებით, რაც გაპირობებულია როგორც თავად ფუნქციათა პრინციპული განსხვავებებით, ასევე სოფლის მეურნეობის ფუნქციობის და განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების ერთობლიობის ცვალებადობაზე მათი დამოკიდებულების დონით. აქ განსაკუთრებულად

აღსანიშნავია ქვეყნის ეკონომიკის აგრარული სექტორის განვითარებაზე გლობალიზაციის პროცესების ზემოქმედება [8].

ნახ. 2. სოფლის მეურნეობის მულტიფუნქციურობა: ერთობლივი პროდუქცია

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სოფლის მეურნეობის განვითარება სხვადასხვა მიზეზის გამო არ წარმოადგენდა პრიორიტეტულ მიმართულებას და მხოლოდ 2012 წელს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს და შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ჩამოყალიბების შემდეგ ამოქმედდა სისტემატური საბუჯეტო დაფინანსების ხაზი ერთიანი აგროპროექტის სახით (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. დარგის საბიუჯეტო დაფინანსება ერთიანი აგროპროექტის ჩარჩოებში*

მაჩვენებელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ერთიანი აგროპროექტი, მლნ ლარი	146.3	165,1	115,6	118,8	143,1	211,8	296,0	372,2
აგრარული ექსპორტი, მლნ აშშ $	612.2	693.2	778.3	966.0	889.2	942.2	1142.0	1261.7
აგრარული იმპორტ, მლნ აშშ $	905.6	865.1	1059.2	1353.8	1251.7	1207.8	1349.3	1851.5
ექსპორტი/იმპორტზე, %	0.663	0.742	0.690	0.714	0.710	0.781	0.846	0.681

*შედგენილია საქსტატის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების შესაბამისად

საქართველოს აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის შეფარდება იმპორტთან, რომელიც საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის *ავტარქულ* პირობებში და პროდუქციაზე ფასების ადმინისტრაციულ-ბრძანებლური მეთოდით დადგენისას ზოგიერთ პერიოდში 1,5-საც კი აღემატებოდა; დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სექტორის მხარდაჭერა მინიმუმამდე დავიდა და 2012 წელს მხოლოდ 0.447-ს შეადგენდა. ერთიანი აგროპროექტის პროგრამების ამოქმედების შედეგად, ქვეყნის აგრარული ექსპორტი იზრდება და მიუხედავად პარალელურად იმპორტის მატებისა, ექსპორტის იმპორტთან შეფარდება დაახლოებით ორჯერ გაიზარდა და ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა აგროსასურსათო პროდუქციის ნეტო-ექსპორტიორად გადაქცევის გზაზე.

აქ ხაზგასასმელია, რომ დამატებით ევროკავშირი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში მნიშვნელოვანი დაფინანსებით მხარს უჭერს სექტორს, რისთვისაც 2013-2022 წლებში 179.5 მლნ ევრო გამოიყო. ასევე მნიშვნელოვან დახმარებას ღებულობს სექტორი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით მიმდინარე მასშტაბური პროგრამების - „ზრდა“ (2018-2023 წწ) და „ძლიერი სოფელი“ (2022-2027 წწ), რომელთა ფარგლებში, 46.7 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოხმარდება სექტორის ზრდის დასაჩქარებლად, ასევე საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას; მნიშვნელოვანია აგრეთვე სხვა დონორთა მხარდაჭერა [9].

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო, WTO) 1995 წელს ჩამოყალიბების შემდეგ, რომლის წევრი საქართველო გახდა 2000 წლის 14 ივნისს, საერთაშორისო ვაჭრობის კონტექსტში მულტიფუნქციურობის კონცეფციის მიმართ არსებობდა რადიკალურად საპირისპირო პოზიციები და ამ ორგანიზაციის წევრები დღესაც ორ ბანაკად იყოფიან. მულტიფუნქციურობის იდეის დამცველები ყველაზე ხშირად არიან ქვეყნები, სადაც სოფლის მეურნეობის მწარმოებლებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა უმაღლეს დონეზეა, რომელთა შორისაა ევროკავშირის ქვეყნები, იაპონია, სამხრეთ კორეა, შვეიცარია და ნორვეგია. ეს ქვეყნები სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ხერხებს, რომლებიც გამოდის ვმო-ს მიერ დაშვებული მხარდაჭერის

ზღვრებიდან, ამართლებს იმით, რომ ნებისმიერ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა ასრულებს მრავალმხრივ ფუნქციებს. შესაბამისად, სოფლის მეურნეობას ახასიათებს მრავალი არასავაჭრო ფაქტორი. ასეთი მოსაზრებებიდან გამომდინარე, მულტიფუნქციურობის კონცეფცია გაჩნდა როგორც არგუმენტი ვმო-ს სოფლის მეურნეობის შესახებ მოლაპარაკებებში არასავაჭრო საკითხების ჩასართავად. მეორე ბანაკში შედიან მათი ოპონენტები ამ საკითხში - აშშ და კერნსის ჯგუფის 19 ქვეყნები, რომლებშიც სექტორის მხარდაჭერა მცირეა [10]. დისკუსიების დროს ევროკავშირი და იაპონია ამტკიცებენ, რომ მულტიფუნქციურობა ამართლებს სოფლის მეურნეობის მუდმივ დაცვასა და სუბსიდირებას, ამ დროს, როდესაც დაპირისპირებული ქვეყნები მოითხოვენ, რათა მულტიფუნქციურობის მხარდაჭერა იყოს კონკრეტული და ხორციელდებოდეს იმ პირობით, რომ იგი არ დაამახინჯებს საგარეო ვაჭრობას. აქ ხაზგასასმელია, რომ 2012 წლამდე ქვეყნის აგრარული პოლიტიკა ვმო-ს კრიტერიუმების მიხედვით უფრო შეესაბამებოდა კერნსის ჯგუფის წევრობას, შემდგომ პერიოდში კი - ევროკავშირის საერთო აგრარულ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს აგროსასურსათო სექტორის მნიშვნელოვან საბიუჯეტო მხარდაჭერას.

კონცეფციაში სოფლის მეურნეობა განიხილება როგორც ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც მრავალი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, დაწყებული ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებიდან სოფლად მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებამდე. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას შეიძლება ჰქონდეს უშუალო ზემოქმედება გარემოზე - ნიადაგის დაცვაზე, წყალდიდობის კონტროლზე და ა.შ. ამ ფუნქციებიდან ზოგიერთი გადამწყვეტია მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, რადგან გავლენას ახდენს ნიადაგის მომავალ პროდუქტიულობაზე, ზოგი კი ემსახურება ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემისა და ლანდშაფტის შენარჩუნებას, უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობას და სოფლად დასაქმებას, მარგინალური ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, მთლიანობაში კი ასახავს სოფლის მეურნეობის მულტიფუნქციურ ხასიათს. ასეთი მოსაზრებებიდან გამომდინარე, მულტიფუნქციურობის კონცეფცია დამკვიდრდა როგორც არგუმენტი ვმო-ს სოფლის მეურნეობის შესახებ მოლაპარაკებებში არასავაჭრო საკითხების ჩასართავად.

დღეს გაბატონებულია უფრო პრაგმატული მიდგომა, რომელიც აკავშირებს სოფლის მეურნეობის მულტიფუნქციურობას ინოვაციურ აგრარულ საქმიანობასთან, ახალი ბაზრების ათვისებასა და ბაზრების ცვლილების პროცესებთან. ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ფუნქციების უმეტესობა შეიძლება გამოიხატოს საქონლისა და სერვისების მიწოდების და ახალი ბაზრების ათვისების თვალსაზრისით: სოფლის მეურნეობა აწარმოებს სურსათსა და სამრეწველო ნედლეულს და ხელს უწყობს ტერიტორიების განვითარებას, ხოლო მიწის მართვის ტრადიციული სისტემების მქონე ტერიტორიებზე - კულტურული ლანდშაფტისა და ბიომრავალფეროვნების, როგორც მნიშვნელოვანი არასასაქონლო პროდუქტის, შენარჩუნებას. ზოგიერთი აგრარული საქმიანობა და ბაზარი რეალურად ახალია, სხვები კი ხელახლა იქნა აღმოჩენილი ან აღორძინებული, ზოგჯერ სოფლის მეურნეობის ისტორიაზე, რეგიონულ ძლიერ მხარეებზე, ჯიშებსა და ტრადიციებზე დაყრდნობით. სხვები ეფუძნება ახალ საზოგადოებრივ მოთხოვნებს. სოფლის განვითარება ამ მხრივ განუყოფელია მულტიფუნქციური საწარმოებისა და ქსელების მზარდი მნიშვნელობისგან, რომლებიც აერთიანებს სოფელს ქალაქთან. აქცენტირება ხდება ახალ სოციალურ საჭიროებებზე, რომლებიც ნაწილობრივ მაინც გამოიხატება შესაბამის მოთხოვნებსა და ახალი ბაზრების განვითარებაში. განიხილება ახალი პროდუქტები და სერვისები სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და სოფლის განვითარების მიჯნებზე. კითხვა ეხება ფერმერებისთვის და სოფლად დამატებული ღირებულების გაზრდის შესაძლებლობებს და ამასთან დაკავშირებულ შემოსავალსა და დასაქმების პოტენციალს. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მულტიპლიკატორულ და სინერგიულ ეფექტებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბილისი, 2019. – 29 გვერდი.
2. Knickel K., Douwe van der Ploeg J., Renting H. Multifunktionalität der Landwirtschaft und des ländlichen Raumes: Welche Funktionen sind eigentlich gemeint und wie sind deren Einkommens- und Beschäftigungspotenziale einzuschätzen? Schriften der Gesellschaft für Wirtschafts- und Sozialwissenschaften des Landbaues, # 39, Münster, Landwirtschaftsverlag, 2004. pp. 75-83.
3. Hassink J., Agricola H., Thissen J. Participation rate of farmers in different multifunctional activities in the Netherlands. Outlook on Agriculture, 2016, Vol. 45, - pp. 192–198.
4. Krivokora Y. Theoretical Aspects of Organizational-Economic Mechanism of Multifunctional Agriculture Development. Sammelwerk: Institutionelle Grundlagen für die Funktionierung der Ökonomik unter den Bedingungen der Transformation. Verlag SWG imex GmbH, Nürnberg, 2014. - pp. 37-39.
5. https://agriculture.ec.europa.eu/common-agricultural-policy/financing-cap/cap-funds_en.

6. Agenda 2000 – For a stronger and wider Europe. Suppleent 5/97 to the Bulletin of the EU. Luxembourg, 1997. – 138 pages.
7. Multifunctionality. Towards an analytical framework. OECD, Paris, 2001. - 157 pages
8. Кусакина О., Кривокора Ю. Системные аспекты многофункционального сельского хозяйства // Теория и практика общественного развития. 2013, # 8. – с. 372-376.
9. https://projects.org.ge/index.php?id=1&page=2
10. Spataru A., Faggian R., Docking A. Principles of multifunctional agriculture for supporting agriculture in metropolitan peri-urban areas Journal of Rural Studies. 2020, Vol. 74, pages 34–44.

THE MULTIFUNCTIONALITY CONCEPT OF AGRICULTURE AND GEORGIA

Japaridze Givi, Didebulidze Alexandre
Georgian Academy of Agricultural Sciences, Tbilisi, Georgia
E-mail: japaridze.givi@yahoo.com; adidebulidze@yahoo.com

Abstract. The report discusses the essence of multifunctional development of the country's agriculture, its features, efficiency criteria, the prospects of transforming Georgia into a net exporter of agricultural products , as well as the role of the multifunctionality of agriculture in Georgia's and international agricultural policy. It is emphasized that until 2012 the agricultural policy of the country was more in line with the membership of the Cairns Group according to the criteria of the World Trade Organization, and in the later period - with the common agricultural policy (CAP) of the European Union, which provides significant budgetary support for the agro-food sector. The functions of the country's agriculture are presented and analyzed in terms of how technically and economically they are related to agricultural production.
Keywords: agriculture, multifunctionality, World Trade Organization, agricultural and environmental programs.